სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/136

ქ. თბილისი 14 სექტემბერი 2020 წ.

აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 თებერვლის №01-05-04/53 დადგენილების ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ნაწილობრივ შეიცვალოს „2020-2021 სასწავლო წლის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ჩარიცხვისთვის ვაკანტური ადგილების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 თებერვლის №01-05-04/53 დადგენილებით დამტკიცებული სამაგისტრო პროგრამების შესაბამისი ვაკანტური ადგილების რაოდენობა და დამტკიცდეს დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუტუბიძე